ეს მხარე–თუშეთია

2012 წლის 23 ივნისი, თითქოს არაფრით გამორჩეული ზაფხულის მზიანი დილაა, მაგრამ რამდენიმე ადამიანმა ზუსტად ვიცით, რომ ეს და მომდევნო დღე ჩვენს ტკბილ მოგონებებს შორის ოქროს ასოებით ჩაიწერება. მიზეზი კი ისაა, რომ გრძელდება ტრადიცია, რომელიც სამთო–გეოლოგიურ ფაკულტეტზე დანერგა ბატონმა ნოდარ ფოფორაძემ. კერძოდ, კი ზაფხულის ერთ–ერთ შაბათ–კვირას ვაწყობთ ექსპედიციას საქართველოს მთიანეთში. ვეცნობით იქ არსებულ ისტორიულ ძეგლებს, ვსწავლობთ რაიონის გეოლოგიურ აგებულებას და, რაც მთავარია, ვტკბებით ჩვენი სამშობლოს, დედა–ბუნების სილამაზით. ამჯერად ჩვენი მარშრუტია თბილისი–ახმეტა–ომალო. ვიკრიბებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის III კორპუსის ეზოში გეოლოგების ჯგუფი:

ბერიძე გიორგი

ბენაშვილი ქეთი

ინანაშვილი ნათია

ქემოკლიძე ანა

აბაშიძე გიორგი

ფოფორაძე ნიკა

ხმალაძე ვასო

ლექტორების, ნ. ფოფორაძის და ს. გველესიანის ხელმძღვანელობით. თან გვახლავს ჩვენი განუყრელი „აღჭურვილობა“: საძილე ტომრები, კარვები და მივემგზავრებით იმ იმედით, რომ ეს ორი დღე სავსე იქნება ერთმანეთის და ბუნების სიყვარულით.

თბილისი–ომალოს გზის გავლისას გადავკვეთეთ საქართველოს ტერიტორიაზე ე. გამყრელიძის მიხედვით ტექტონიკური დარაიონებით გამოყოფილი სამივე მთავარი სტრუქტურულ–ფორმაციული ერთეული. მარშრუტის ტერიტორიის აგებულება მრავალფეროვანი ქანებითაა წარმოდგენილი, ტექტონიკური სურათი რთულია. დავიწყეთ მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის აჭარა–თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთი ქვეზონით, რომელიც ოლიგოცენ–ქვედა მიოცენის (მაიკოპის სერია) ასაკის

ზღვიური მოლასის კარბონატული და თაბაშირიანი თიხებით, კონგლომერატების შუაშრეებით და ლინზებითაა წარმოდგენილი. გავიარეთ საყარაულოს წყება და სართიჭალის ჩრდილოეთით გადავედით სამხრეთ კავკასიის მთათაშუა არეში, კერძოდ, კი გარე კახეთის მოლასური ქვეზონის მიოცენური ასაკის ქანებში, რომლებიც წარმოდგენილია ზღვიური და კონტინენტური მოლასებით, კონგლომერატებით, ქვიშებით და თიხებით, ხოლო გომბორის ქედის მიდამოებში უკვე ვიმყოფებით კავკასიონის ნაოჭა სისტემის მესტია–თიანეთის ზონაში, რომელიც წარმოდგენილია ქვიშაქვა–ალევროლითური და კლასტური ფლიშით. მაგრამ ამ ტერიტორიაზე ქანების ძირითადი გამოსავალი გადაფარულია მეოთხეული ნალექებით. სტორის ხეობაში უკვე შევდივართ ყაზბეგ–ლაგოდეხის ზონაში, რომელიც წარმოდგენილია კარგად გაშიშვლებული ზედა იურული თიხიანი და თიხიან–ქვიშიანი ფიქლებით, არგილიტებით, ქვიშაქვებით და ალევროლიტებით; ზედა ლიასური თიხა–ფიქლების მძლავრი დასტებით; შუა და ქვედა ლიასური ასპიდური, შავი თიხა–ფიქლებით, ალევროლითებით, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვებით. გარკვეული რაოდენობით აღინიშნება არგილიტების, ქვიშაქვების და ვულკანოგენურ–დანალექი ქანების შუა შრეები, იშვიათად გვხვდება კარბონატული წარმონაქმნებიც. სტორის ხეობაში ლიასური ნალექების ყველაზე ქვედა თიხაფიქლების წარმონაქმნებში არსებული არკოზული ქვიშაქვები ჰიდროთერმულადაა შეცვლილი და მსხვრევის ზონები წარმოდგენილია კვარც–მინდვრისშპატიანი დაიკებით. თორღვას აბანოს გადასასვლელი და მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი ფერდობები წარმოდგენილია იმავე ტექტონიკური ზონის ქვედა იურული ტოარსული სართულის ასპიდური ფიქლებით, შავი თიხაფიქლებით, ალევროლიტებით, იშვიათად ქვიშაქვებით და კონგლომერატების შუაშრეებით.

პირიქითა ალაზნის ხეობა უკვე მდებარეობს მთავარი ქედის ზონაში, რომელიც, ძირითადად, იმავე ქანებითაა წარმოდგენილი, რაც ყაზბეგ–ლაგოდეხის ზონა. კერძოდ, ლიასური ასაკის ტოარსული და პლინსბახური სართულის წარმონაქმნებით.

სურ.1. თუშეთში მიმავალი გზა

სანამ ჩვენ თვითონ ვიხილავთ და შთაბეჭდილებებს აღვწერთ, მცირედ დავახასიათოთ თუშეთი ისეთი, როგორც ჩვენს წინამორბედებს აღუქვამთ. საქართველოს ულამაზესი კუთხე – თუშეთი, მის ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთ კავკასიონზე მდებარეობს. მისი ფართობი 896 კმ^2. იგი ზღვის დონიდან 1650–4493 მ სიმაღლეზე მდებარეობს. სოფლები კი 1900 მ–დან 2400 მ–მდეა. თუშეთი ოთხ ძირითად თემად იყოფა : პირიქითა, გომეწრის, წოვათას და ჩაღმის თემი. თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრი – ომალო, ჩაღმის თემს მიეკუთვნება. თბილისიდან მივუყვებით გზას კახეთის მიმართულებით, გომბორის გავლით (რუკაზე ნიშნული 149) შევდივართ ახმეტის რაიონში, საიდანაც მისი ბოლო სოფლის, ფშაველის გავლით ავდივართ სტორის ხეობაში (ნიშნული 152).



სურ.2 სტორის ხეობა

უკვე იგრძნობა მთის ხიბლი და სილამაზე. არც თუ ისე ცუდი, მიხვეულ–მოხვეული გრუნტის გზით მდ.სტორის დინების აღმა მიმართულებით მივდივართ. თითქმის დამღლელია ამ ერთი შეხედვით ერთფეროვანი ხეობის გავლა, მაგრამ მთის მოყვარული ადამიანი უმალვე იგრძნობს აქოჩრილი ტყეებიდან, ჯერ კიდევ ნამიანი ბალახიდან და ბობოქარი სტორიდან წამოსულ სურნელს. აქამდე ერთმანეთისკენ მიმართული ყურადღება გაუცნობიერებლად დაბურულ ხეობებში გაგვირბის. თუშეთის მთებიდან ბრილიანტის ნაკადულივით მობრწყინავს მდ. სტორი, რომელიც გზადაგზა იზრდება, ივსება და ჩვენ სიახლოვეს უკვე ძლიერი და ბობოქარია. თუმცა კი ფერი შეუცვლია, თიხა–ფიქლების „გასუფთავება“ განუზრახავს, კალაპოტი მთების გულში გაუჭრია და საუკუნეებია ასე აგრილებს ხეობას და მის სტუმართ.

სურ.3 მდინარე სტორი

მზე უკვე ხეობაშიც შემოიჭრა, სილამაზესთან ერთად ჩვენი განწყობაც უმჯობესდება. სტორის ხეობიდან გავდივართ და სადღაც, არც თუ ისე შორს, მოჩანს გაშიშვლებული მთები, ალპური ზონა თავისი ნოყიერი მცენარეული საფარით. თუშური ცხვრისა და მისი ერთგული თანამგზავრის–ქართული ნაგაზის სამშობლო. გავიარეთ ე.წ. თუშეთის ხიდი (ნიშნული 155) და 100მ– ში სერპანტინის გამოსავალი დაიწყო, რომელიც არც თუ საიმედო გასავლელია. თუმცა კი არის მთაში რაიმე უსაფრთხო?.. მთას ხომ თავისი კანონები აქვს, თანაც ძალიან მკაცრი. თითქოს აქ ყველაფერი ისევ იმ პირვანდელი სახითაა, უფალმა რომ სამყაროსთან ერთად შექმნა. აქ ცხოვრებას ყველაზე ახლოს შეიგრძნობ, ხვდები, რომ არ უნდა გათამამდე, სწორად უნდა აღიქვა ყველაფრის დანიშნულება და მხოლოდ ამის შემდგომ გადადგა ნაბიჯი, ოღონდ მყარად!.. მთა შეცდომებს არავის პატიობს, „შემცდარს“ გულში საუკუნოდ იხუტებს და თავის წიაღში ახალი, მომავალი ცხოვრებისთვის ამზადებს. სწორედ სიმკაცრით ინარჩუნებს ის სიწმინდეს...

მივუყვებით ლაბირინთს ალპურ ზონაში, გზაში უკვე ტურისტებიც გვხვდებიან. ერთი შეხედვით ემჩნევათ შთაბეჭდილებების კვალი ბედნიერად მომღიმარ სახეებზე. რამდენიმე წუთით ვათავისუფლებთ ჩვენს მანქანას და ვიჭრებით ბუნების წიაღში. ხარბად ვსუნთქავთ მთის ცივ ჰაერს, ვცდილობთ მზერა ყველა შორეულ წერტილსაც კი შევახოთ, ფოტოებზე აღვბეჭდოთ ეს სილამაზე. ერთმანეთს მიყვება ლაღი ღიმილით მადლიანი ბუნების ფონზე აღბეჭდილი კადრები... ეს იმიტომ, რომ ხარბ მზერასაც საუკუნოდ ახსოვდეს მთა–თუშეთი...

სურ.4 ალპური ზონა

მკვეთრი ნისლის გამო ვერ ვნახულობთ თორღვას აბანოებს, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია სტორის ხეობაში, ბულანჩოსწვერის მთის დასავლეთ კალთაზე. ზღვის დონიდან 1750 მ. სამკურნალო ფაქტორია თერმული გოგირდწყალბადიანი, ჰიდროკარბონატულ–ქლორიტული ნატრიუმიანი მინერალური წყალი, რომელსაც იყენებენ აბაზანებისთვის. წყლის ტემპერატურა 36,5^{0}C , მინერალიზაცია 0,6 გ/ლ. გამოყენებული წყაროების საერთო დებიტია 353 ათ.ლ/დღ–ღ.

სამედიცინო ჩვენება: საყრდენ–მამოძრავებელი აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური ქრონიკული დაავადებები. თორღვას აბანოში არის სააბაზანო შენობა და სამედიცინო პუნქტი. მკურნალობა ამბულატორიულია. სეზონი – ივნის–სექტემბერი. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უნიკალური აბანოები დღეს აღარ ფუნქციონირებს.

სურ. 5 თორღვას აბანოებთან

ავდივართ აბანოს უღელტეხილზე, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ბულანჩოსწვერისა და დიდგვერდის მთებს შორის. მას გადავყავართ მდ. სტორის ხეობიდან თუშეთის ალაზნის ხეობაში. GPS-ის ეკრანზე ფიქსირდება 2950 მ. (ნიშნული 165). ის საქართველოში ყველაზე მაღალ სამანქანო გადასასვლელად ითვლება. თვალთახედვა ძალიან ჭირს, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე უღელტეხილებზე გადასვლის დროს. ნისლი ფანჯრებშიც კი შემოგვეჭრა და არ გვაძლევს საშუალებას ამ ადგილიდანაც ვიხილოთ თუშეთის გაშლილი მთები და

საძოვრები. ვერაფერს გავხდებით, ბუნება ხომ მბრძანებელია! ყველამ მივაყუჩეთ ინტერესი ღვთაებრივი სიმაღლიდან დედა–ბუნების გულში ჩაკვრის...

სურ.6 აბანოს უღელტეხილი

უკან დავტოვეთ უღელტეხილი, დავეშვით ჩრდილოეთისკენ და წავედით თუშეთის სოფლებში სამოგზაუროდ. ახლა უკვე პირიქითა ალაზნის მარცხენა ნაპირს მივუყვებით. აღსანიშნავია, რომ თითქმის მთელი მარშრუტის განმავლობაში ჩვენ ვიმყოფებით თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, რომელიც მისი ეკოსისტემის შესანარჩუნებლად, ფლორის და ფაუნის დასაცავად 1980 წელს შეიქმნა და თურმე საბჭოთა საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა ნაკრძალი ყოფილა. 2003 წელს შეიქმნა თუშეთის ახალი დაცული ტერიტორიები და ახლა ისინი თუშეთის ნაკრძალს (10694 ჰა), თუშეთის ეროვნულ პარკსა (83453 ჰა) და თუშეთის დაცულ ლანდშაფტს (27903 ჰა) აერთიანებს. ამ ტერიტორიებიდან ყველაზე დიდი ეროვნული პარკია (ევროპის ყველაზე დიდი დაცული ტერიტორია), რომლის საზღვრები თავად თუშეთის ისტორიულ–

ადმინისტრაციულ საზღვრებს მიუყვება. თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს პირიქითა ალაზნის, გომეწრის ალაზნის და ჭანჭახოვანის ხეობებს.

სურ.7 ტურისტული მარშრუტი

შევდივართ სოფ. ხისოში (ნიშნული 164). გამოჩნდა მთაზე მერცხლის ბუდეებივით მიშენებული თუშური სახლები, რომლებიც იშვიათად ორსართულიანი, ხშირ შემთხვევაში თიხა–ფიქლებითაა ნაგები. ზოგიერთ მათგანში იგრძნობა აქტიური ცხოვრების კვალი, ზოგიერთიც დაცარიელებულია, უნუგეშო. მთებზე შეფენილია ხელმარჯვე ინჟინრის ნახელავივით ლამაზად გამოყვანილი კონტურების ბაღები, სადაც ადგილობრივებს ბოსტნეული მოჰყავთ, რაც, ძირითადად, კარტოფილითაა წარმოდგენილი. ესაა თუშების ერთ–ერთი საქმიანობა მესაქონლეობასთან ერთად.

სურ.8 სოფელი ხისო

ხისოდან სოფ. ქუმელაურთაში (ნიშნული 167) შევდივართ. გარემო იგივეა, არც სოფლის იერსახეა განსხვავებული. ამ სილამაზეში გულს მხოლოდ ერთი რაღაც გვტკენს და სახეზე წუთით ბედნიერ ღიმილს გვიქრობს. ნასახლარები, ნასოფლარები თუშეთს ძალიან უმძიმს, მაგრამ ხიბლს ვერ უკარგავს! ეს ხომ მისი ისტორიაა, ტკბილი თუ მწარე, მაგრამ მისი!.. თუშეთიც სწორედ ასეთია ლამაზი, თავისი სოფლებით და ნასოფლარებით.

სურ.9 სოფელი ქუმელაურთა

აღფრთოვანებულები და სილამაზით დატყვევებულები ვგრძნობთ, რომ მთის ჰაერმა და დრომ თავისი ქნა და რომ მოგვშიებია. ვჩერდებით რამდენიმე წუთით, წავიხემსეთ. სხვა საზრუნავი არ უნდა გვქონდეს, მთელი არსებით უნდა მოვასწროთ ამ მადლიანი ბუნების შეგრძნება და შეთვისება.

სურ.10 შესვენება

დანაყრებული გეოლოგების ჯგუფი კვლავ თუშეთის ლაბირინთებს მიაპობს. ბუნების თვალიერებით გართულებს არც მასთან შერწყმული გეოლოგიური პროცესების შედეგები გვავიწყდება. ვაკვირდებით თიხა–ფიქლების გამოსავლებს და მათში ტექტონიკური პროცესების შედეგებს. საგზაო ნიშანი სოფლების–დიკლოს და შენაქოსკენ (ნიშნული 170) მიმავალ გზას გვიჩვენებს. ამ სიამოვნებას ხვალისთვის ვიტოვებთ და პირდაპირ ომალოსკენ მივემგზავრებით. თუშური მუხლმაგარი ცხენები მშვიდად ბალახობენ ფიჭვიანი ტყეების და თოვლიანი მთების ფონზე გაშლილ მინდორზე. ლურჯ მწვერვალებზე თეთრი გედებივით მიცურავენ ღრუბლები. სულში

იღვრება თუშური ტკბილი ჰანგები, ოდნავ სევდიანი, სულში ჩამწვდომი, მთლიანად რომ ხატავს ამ ხალხის ბუნებას.

სურ. 11 თუშეთის პეიზაჟი

ომალო – ცივილიზაციის კვალი მკვეთრად ემჩნევა. თვალს ახარებს აივნებზე მოფუსფუსე დიასახლისების, სახლის თუ სასტუმროს მშენებლობით გართული მამაკაცების და ტურისტების თვალიერებით გართული ბავშვების ცქერა. ღმერთმა არასოდეს მოაკლოთ ამ ბუნების დამფასებელი ხალხი!..

სურ.12 ომალო

ამაღლებულ ადგილზე კოშკებიც მოჩანს, ისინი ხომ ოდითგანვე სათვალთვალოს და თავშესაფარს წარმოადგენდა უცხოტომელთა თავდასხმისგან ადგილობრივების დასაცავად. ახლაც დარაჯად დასდგომიან ომალოს და საოცარ სანახაობას ქმნიან ლურჯი ცის და სიმწვანის ფონზე.

სურ. 13 ომალო

ფოტოაპარატები არ ჩერდება, ლაღი ბუნება, ლაღი ღიმილი უხვად იბეჭდება კადრებად... მთა–თუშეთი უკვე ჩვენს გულებშია!.. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიტყვები უძლურია, ეს უბრალოდ უნდა ნახო და შეიყვარო!..

ჩვენი მარშრუტის თვალსაჩინოებისათვის გთავაზობთ თუშეთის აეროფოტოს



სურ.14,15 ომალო

წუთით ვივიწყებ სიამაყეს და ვიჩოქებ თუშეთის, ჩვენი საქართველოს ბუნების წინაშე!

თუმცა არ გვეთმობა დასატოვებლად, მაგრამ მარშრუტს განვაგრძობთ. გვხვდება სოფლები: ბოჭორნა, დართლო. ყველასათვის ცნობილია ქალის როლი მთის ადათ–წესებში. ჩვენც რამდენიმე კოშკთან ამ მიზეზით არ მოგვცეს მიკარების უფლება. წესი ასეთია, მთას ვერ შეეწინააღმდეგები, სადაც მიხვალ კიდევ იქაური ქუდიც უნდა დაიხურო. დართლოში შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას, გავესაუბრეთ და გულთბილი მიპატიჟებაც კი მივიღეთ კოცონთან, სადაც თურმე ყოველ საღამოს მთელი სოფელი იკრიბება.

სურ. 16 დართლოს კოშკები

ისევ მივუყვებით ცხოვრების ბილიკებივით იდუმალ გზებს თუშეთის მთებში. ემოციებით დატვირთული დღეც ნელ–ნელა იწურება. მზე სხივებს კრებს კავკასიონის მწვერვალებთან, ამიტომ სოფ. ჭეშოში მისულებმა კარვების გასაშლელი ადგილის ძებნა დავიწყეთ (ნიშნული 176).

სურ.17 სოფელი ჭეშო (დაბანაკების ადგილი)

ბიჭები კარვების გაშლით არიან დაკავებული, გოგონები ვმზარეულობთ. სულ ცოტა ხანში კოცონიდან წამოსული მწვადის არომატი ჰარმონიულად შეერია მთის სურნელს. გაიშალა ქართული სუფრა უხვი პურ–მარილითა და თამადით. გეოლოგებს განსაკუთრებით კარგად გამოგვდის სუფრის ლამაზად წარმართვა, ალბათ იმიტომ, რომ როდესაც ბუნებასთან ხშირი კონტაქტი გაქვს, სხვაგვარად შეიგრძნობ სამშობლოს ეშხსა და სიყვარულს. რიტმულად მიყვება ერთმანეთს უფლის სამადლობელი, სამშობლოს, ჩვენი პროფესიის, ურთიერთსიყვარულის სადღეგრძელოები. ღამის სიცივემ თავისი გაიტანა და კოცონს ფუნქცია დავუბრუნეთ.

სურ. 18 ღამე კოცონთან

მთის სიმღერები და ლექსები ავაჟღერეთ... შემდეგ კარავში საძილეებში ტკბილად ჩაძინება... დილა... კარვიდან დანახული თუშეთის მთები და მზე, რომელიც აქ სულ სხვანაირია, როგორც ყველაფერი! გაიღვიძა ბუნებამ, ახმაურდა ჩვენი ბანაკიც.

სურ. 19 მხიარული დილა

ცხვრები უკვე საძოვრებს შეფენიან. მეცხვარეობა თუშების ძირითადი საქმიანობაა, რომელმაც აქ ხალხური რეწვის განვითარებას შეუწყო ხელი. თუში ქალები მატყლისგან მართლაც გასაოცარ, ლამაზ და სადა, ბუნებრივი საღებავებით შეფერილ ხელოვნების ნიმუშებს ქმნიან, წინდებით და ჩითებით დაწყებული, თუშური ფარდაგებით დამთავრებული.

გეოლოგიური შემართებით ვიწყებთ დილას. საუზმე, კარვების აღება და გეზი სოფ. დართლოსკენ (ნიშნული 178). დართლოში შევჩერდით, ფოტოები გადავიღეთ. შემდეგი გაჩერება სოფ. შენაქოშია, სადაც ეკლესია მოვინახულეთ.

სურ. 20 სოფელ შენაქოს ეკლესია

თუშეთის ქედებიდან და მწვერვალებიდან ჩამონადენი წყლები მის ორ მთავარ მდინარეში, პირიქითა და თუშეთის ალაზნებში ჩაედინება. ორივე ალაზანი სწორედ სოფელ შენაქოს მახლობლად ერთდება, სცილდება თუშეთისა და საქართველოს

საზღვარს, გადადის დაღსტანში და კასპიის ზღვაში ჩაედინება ანდის–ყოუსის სახელწოდებით. თუმცა არ გვეთმობა, მაგრამ ჩვენც ვტოვებთ ალაზნის მსგავსად თუშეთს და გზად ისევ სტორის ხეობა გვხვდება თავისი ჰიდროთერმულად შეცვლილი ზონებით.

სურ.21 მდინარე პირიქითა ალაზანი

მარშრუტი დასასრულს უახლოვდება, ბარში ჩამოსულებმა ალავერდი მოვილოცეთ. ალავერდი, რომელიც ჩვენი ისტორიის ცოცხალი მატიანეა. დიდებული ტანი ამაყად აუზიდავს კახეთის მადლიანად გაშლილი მიწიდან და გუმბათით თითქოს ზეცაში ღმერთამდე მიუღწევია, რომ ზოგჯერ ზარების ტკბილი რეკა, ზოგჯერაც ქართველთა გასაჭირი მიაწვდინოს. უფალს მადლობა ვუთხარით ყველაფრისთვის, ვთხოვეთ, რომ თავისი მადლიანი კალთა მუდამ გადმოგვაფაროს ჩვენს პატარა, ლამაზ საქართველოსთან ერთად, მის ყოველ კუთხეში!..

სურ. 22 ალავერდი

დავტოვეთ მთა–თუშეთი თავისი მდიდარი, ლაღი ბუნებით და მოწყენილი სახლებით... ეს მართლაც ჩვენი ცხოვრების უბედნიერესი ორი დღე იყო, რაც პირველ რიგში ბატონი ნოდარის და ბატონი სულხანის დამსახურებაა. ლამაზ გარემოს ალამაზებდა ჩვენი კიდევ უფრო გაღრმავებული ურთიერთსიყვარული, მეგობრობა და ხალისიანი განწყობა. ეს ის შემთხვევაა, რისთვისაც სიცოცხლე ნამდვილად ღირს! ღმერთო, ეს ხიბლი არასოდეს დაუკარგო ქართულ მთას! მეტად ნუღარ დაუცარიელდება სოფლები, ამჟამინდელს აიტანს თუშეთი!.. ხმაურიან ზაფხულს ცივი და მძიმე ზამთარი მოჰყვება, თუშეთს ქომაგად მხოლოდ რამდენიმე ოჯახიღა შემორჩება, ყველაზე დიდსულოვანი, საკუთარი ციხე–სიმაგრის მცველი თუშები. გაუძლებენ სუსხს, სიცივეს იმ იმედით, რომ მალე ისევ გაზაფხული მოვა, ისევ გამწვანდება, გაცოცხლდება, ახმაურდება თუშეთის მწვერვალები, მდინარეები, ისევ ამორეკენ ცხვარს მუხლმაგარი მეცხვარეები ზაფხულის საძოვრებზე, ალიონს მათ

ხმაურთან ერთად შეხვდებიან, ისევ აყვავდება რძისფერად დეკა, მოქარგავს თუშეთის მკლავებგადაშლილ მთებს და დაელოდება მისით აღტაცებულ ტურისტებს, რომლებიც ჩვენსავით თითქმის ფეხშიშველნი დაკრეფენ და თან გაიყოლებენ თუშეთის სურნელს.

ჩვენ უკვე დავლოცეთ საქართველო მთა–თუშეთიდან, შემდეგი კი უშგული იქნება!..

სურ.23 დეკა

ღრუბლებს მოსტაცა ზეცის სურნელი,
მწვერვალებს ცრემლად გადმოაყარა,
მრავლის მნახველი, უტყვი, უთქმელი,
ლურჯ მთებს ბარისკენ გამოეპარა...
გული გაუხსნა პირქუშ ხეობებს,
კალთები მწვანედ მოაქარგინა,
ჩააქსოვინა დეკა ხელოვნებს,

სიცოცხლის მაცნედ მოანათლინა!

აქ დანავარდობს სიცოცხლე ლაღად,

ძალაუფალი თავად ღმერთია,

აქ ხომ ჰაერშიც გრძნობ თუშურ ლაზათს,

ჰანგებშიც, გულს რომ ძლივს მოსწყვეტია...

მკლავებგადაშლილ საძოვრებს ცხვარი

მარგალიტებად შემოჰფენია,

თუშეთს ცხოვრების ძლიერი ჩარხი

ნასახლარებად შემორჩენია...

მზერა ხარბია, ყველგან მისწვდება

ბაგეს მოსწყდება ჩუმი ვედრება,

ფიქრებმა ჰპოვეს თავდავიწყება,

თუშეთმა შეძლო სულთან შეხება!..

ქეთი ბენაშვილი...